ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს 2020 წლის 26 ნოემბრის სხდომის

ოქმი #11

2020 წლის 26 ნოემბერს შედგა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა. სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში, პროგრამა ZOOM-ის გამოყენებით.

სხდომა გახსნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 39 წევრი, სხდომას ესწრებოდა 23.

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

დღის წესრიგი:

1. საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ;
2. იმპაქტ ფაქტორიანი პუბლიკაციებისთვის ანაზღაურების გაცემის შესახებ;
3. საფაკულტეტო კონფერენციის შესახებ;
4. უჯრედული და მოლეკულური მედიცინის ინსტიტუტში სამი ტექნიკური მუშაკის დამტკიცების შესახებ;
5. მიმდინარე საკითხები.

1. **მოისმინეს:** დღის წესრიგის პირველი საკითხი – საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ. საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა ფაკულტეტის ხარსხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა თ.ჭელიძემ. მან საბჭოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა რეაკრედიტაციაზე წარდგენილი შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამები: მათემატიკის, ქიმიის, გეოლოგიის საბაკალავრო, ქიმიური ექსპერტიზის, ქიმიის, გეოლოგიის, მათემატიკის, გამოყენებითი მათემატიკის სამაგისტრო და მათემატიკის, ქიმიის, გეოლოგიის სადოქტორო პროგრამები (იხ. დანართი 1).

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა ნ.შათაშვილმა, მ.ხაჩიძემ, ნ.დორეულმა, ბ.თუთბერიძემ, დ.ძიძიგურმა და სხვებმა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა რეაკრედიტაციაზე წარდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 23, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს რეაკრედიტაციაზე წარდგენილი საგანმანათლებლო პროგრამები (იხ. დანართი 1).

2. **მოისმინეს:** დღის წესრიგის მეორე საკითხი – იმპაქტ ფაქტორიანი პუბლიკაციებისთვის ანაზღაურების გაცემის შესახებ. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა. მან საბჭოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი იმპაქტ ფაქტორის მქონე სტატიებზე სახელფასო

დანამატის გაცემის შესახებ. ფაკულტეტის 2020 წლის ბიუჯეტის "შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების" მუხლიდან გამოყოფილია დაფინანსება ტომსონ-როიტერის კლასიფიკაციით დადებითი იმპაქტ-ფაქტორიანი სტატიების ავტორებზე დამატებითი ანაზღაურების გასაცემად. თანხის გადანაწილება მოხდება 56 ავტორსა თუ თანაავტორს შორის. იმპაქტ ფაქტორიანი პუბლიკაციების ავტორებზე გასაცემი თანხების სია იხ. დანართი 2-ში. აღნიშნული სია წინასწარ დაეგზავნათ საბჭოს წევრებს.

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა ე.ნადარაიამ, გ.სირბილაძემ, ნ.შათაშვილმა, ნ.დორეულმა, ო.ფურთუხიამ. გ.სირბილაძე დაინტერესადა აღნიშნული მიმართულებით დაფინანსების გაზრდის შესაძლებლობით. სხდომის თავმჯდომარემ უპასუხა, რომ იგეგმება სამეცნიერო მიმართულებით დამატებითი თანხების გამოყოფა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალში გამოქვეყნებულ სტატიაზე დანამატის გაცემის შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 23, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: ტომსონ-როიტერის კლასიფიკაციით დადებითი იმპაქტ-ფაქტორიანი სტატიების ავტორებზე დამატებითი ანაზღაურების გაცემის მიზნით, ერთ სტატიაზე გასაცემი თანხა განისაზღვროს 2500 ლარით და დაფინანსდეს 1 სტატია ერთ აკადემიურ პერსონალზე თანდართული სიის შესაბამისად (იხ. დანართი 2), სულ 122500 ლარის ოდენობით. თანხა გაცემულ იქნას ფაკულტეტის 2020 წლის ბიუჯეტის "შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების" მუხლიდან (ქვეპუნქტიდან „ანაზღაურება იმპაქტ ფაქტორიანი პუბლიკაციებისთვის").

3. მოისმინეს: დღის წესრიგის მესამე საკითხი – საფაკულტეტო კონფერენციის შესახებ. საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რ.ხომერიკმა. მან აღნიშნა, რომ, არსებული არაორდინარული სიტუაციიდან გამომდინარე, საფაკულტეტო კონფერენცია შეიძლება ჩატარდეს ონლაინ, თუმცა მიზანშეწონილად არ მიაჩნია კონფერენციის ამ ფორმით ჩატარება, რაზეც ფაკულტეტის საბჭოს წევრებიც დაეთანხმნენ. საფაკულტეტო კონფერენციის სტუდენტების ნაწილი სასურველი იქნება, რომ ზაფხულში გადავიდეს და მიეგას საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომების დაცვას. ბატონი რამაზი მიიჩნებს, რომ ამ დროს უფრო კონკურენტული გარემო იქნება პრიზების გადაცემისთვის.

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა ნ.შათაშვილმა. მან აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში „ა" კატეგორიის პროფესორები უნდა განთავისუფლდნენ საფაკულტეტო კონფერენციაში მონაწილეობის ვალდებულებისაგან, რაზეც დეკანიც დაეთანხმა და განაცხადა, რომ შევა შესწორება შესაბამის დადგენილებაში. დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა ვ.ტრაპაიძემ დაამატა საკითხი, რომ ზოგიერთ დოქტორანტს არჩეული აქვს სამეცნიერო-კვლევითი პროექტი, რომელთა ანგარიშების მოსმენა ჩვეულებრივი წესით მოხდება კომისიების სხდომებზე. აზრი გამოთქვეს ასევე ე.ნადარაიამ, გ.სირბილაძემ, ა.შენგელაიამ, ნ.დორეულმა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი, რომ 2021 წლის საფაკულტეტო კონფერენციის გადავადდეს, ამასთან ამ კონფერენციაში მონაწილეობა არ ჩაითვალოს სავალდებულოდ „ა" კატეგორიის აკადემიური პერსონალისთვის.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 23, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: 2021 წლის საფაკულტეტო კონფერენციის გადავადდეს, ამასთან ამ კონფერენციაში მონაწილეობა არ ჩაითვალოს სავალდებულოდ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის „ა“ კატეგორიის აკადემიური პერსონალისთვის.

4. მოისმინეს: დღის წესრიგის მეოთხე საკითხი – უჯრედული და მოლეკულური მედიცინის ინსტიტუტში სამი ტექნიკური მუშაკის დამტკიცების შესახებ. საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა ვ.ტრაპაიძემ. მან აღნიშნა, რომ სტრუქტურული ერთეულების კომისიის სხდომაზე ეს საკითხი განხილულია და ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ტექნიკური მუშაკის პოზიციაზე დასამტკიცებელი კანდიდატები, ბიოლოგიის მიმართულების სტუდენტები მ.ხარებავა, ნ.გოგიშვილი და ნ.ედილაშვილი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის უჯრედული და მოლეკულური მედიცინის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში ტექნიკური მუშკების დამტკიცების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 23, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის უჯრედული და მოლეკულური მედიცინის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში ტექნიკური მუშაკის პოზიციაზე:

- მარიამ ხარებავა,
- ნატალი გოგიშვილი,
- ნატა ედილაშვილი.

5. მოისმინეს: დღის წესრიგის ბოლო - მიმდინარე საკითხები. ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა ვ.ტრაპაიძემ საბჭოს წევრებს გააცნო გამოყენებითი ეკოლოგიის პროგრამის ხელმძღვანელის, პროფესორ ლ.მაჭავარიანის განცხადება დოქტორანტების თამარ ჯოლოხავას და ნინო გოხელაშვილის სადისერტაციო თემებისა და ხელმძღვანელების დამტკიცების შესახებ (იხ. დანართი 3), სადაც ის ითხოვს, რომ ფაკულტეტის საბჭომ დაამტკიცოს „გამოყენებითი ეკოლო-გიის“ სადოქტორო პროგრამის დოქტორანტების ნინო გოხელაშვილისა და თამარ ჯოლოხავას სადისერტაციო ნაშრომის თემები და სამეცნიერო ხელმძღვანელები.

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა ნ.შათაშვილმა, ა.შენგელაიამ, ბ.თუთბერიძემ, ა.უგულავამ. მათ გამოთქვეს შენიშვნები სადისერტაციო თემის სათაურთან დაკავშირებით, აღნიშნეს რომ შესამოკლებელია, ამასთან, ორი სამეცნიერო ხელმძღვანელიდან თსუ-დან არცერთი არის.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს შესთავაზა, რომ პირველი დოქტორანტის საკითხის განხილვა მომდევნო სხდომისთვის გადაიდოს, ამ სხდომაზე კი დამტკიცდეს მხოლოდ მეორე დოქტორანტის ხელმძღვანელი და თემა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 23, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს **დოქტორანტ ნინო გოხელაშვილის** სადისერტაციო თემა "საქართველოში გარემოს მდგრადი განვითარების პროგრესის შეფასება და საერთაშორისო ინსტიტუტების როლი" და სამეცნიერო ხელმძღვანელი - თსუ პროფესორი ლია მაჭავარიანი.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,
ასოცირებული პროფესორი რამაზ ხომერიკი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი,
ასოცირებული პროფესორი თინათინ დავითაშვილი